ცნობის ფურცელი

№ 1831 შაბათი, 8 ივნისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1831

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვაჰქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი“

სურათებიანი დამატებით

1-ლ ივნისიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს 4 მან.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

გამოვიდა და იყიდება
ახალი წიგნი
„ზღაპრები“

ექვსი ხალხური ზღაპარი ა. მრევლიშვილის მიერ დასურათებული, მშვენიერ ქაღალდზედ დაბეჭდილი და გოგიაშვილის მიერ დასურათებულის ყდით.

ფას ერთი მანეთი

იყიდება ქ. შ. წ. კ. გ. საზ. მაღაზიაში და გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში.

(5—2)

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—27)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

პ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვების 9—10 საათამდე. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საა თ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

გრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ.-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვანიძისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.-**ტელეფონი № 274.** (წლ.)

ქ. გორში,
ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე
ტურიაშვილი,
საკუთარ სახლში, იღებს ავადმყოფებს: შინაგანთა, საბავშვო და თვალის.

სასწავლებელი და პანსიონი
ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ბავშვებს საშუალო სასწავლებლებისათვის (გიმნაზია, რეალური და კომერციული სასწავლებლები, კადეტთა კორპუსი და სხ.(

აქვე ამზადებენ მოწაფეებს, რომელთაც დანიშნული აქვთ ხელ-მეორედ გამოცდა, (переэкзаменовка). ვერა, სლეპცოვის ქუჩა. № 13. ზემელის აფთიაქის მახლობლად. (10—330—6)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდ-ე მიიღებს აგრეთვე საექიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუ. ლაევის სახლი.

ბორჯომში
ექიმი ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის $8^1/_2$—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის ნებართვით 5 თიბათვიდან 20 მარიამობისთვემდის გახსნილ იქნება დაბა **სურამში**

სარეპეტიციო
და
მოსამზადებელი კლასები.

მასწავლებლად არიან მოწვეულნი სპეციალისტნი, მაღალ სასწავლებლებში კურსდამთავრებულნი. ვამზადებთ აგრეთვე კავკასიის კორპუსისათვის.

მმართველნი კლასებისა ალ. ივ. ნათაძე და პერ. მიხ. კორსანიდი.

ქ. სიღნაღში
კიევის უნივერსიტეტის ბავშთა კლინიკის ასისტენტი
ექიმი
ა. ი. ბალარჯაშვილი

მიიღებს ზაფხულის განმავლობაში 20 აგვისტომდე ბავშვთა და შინაგან სენით შეპყრობილ ავადმყოფთ. (15—1)

საზღვარ-გარედ

გერმანია. აგერ ოცდა ათი წელიწადია, რაც ალზასი გერმანელების ხელშია. ამ ახალ შემოერთებულ ქვეყანას, რომლის მცხოვრებნი ისევ ძველი სამშობლოს სიყვარულით იყვნენ გამსჭვალულნი, გერმანიის მთავრობა დიდის ეჭვით უყურებდა. თუმცა ალზასი კულტურულად გერმანიას არაფრით არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ სწორედ ეს ეჭვი იყო მიზეზი, რომ იქ განსაკუთრებული მართვა-გამგეობის წესი დაამყარა პრუსიის მთავრობამ. ადმინისტრაციას ისეთი უფლებები მიანიჭეს, რომ იგი ნამდვილ დიქტატურას წარმოადგენდა. ალზასელის უფლებანი ათასგვარად შეზღუდეს. საპასპორტო სისტემა მეტი მკაცრი იყო და ხელს უშლიდა თავისუფლად გადასვლას საფრანგეთში. საცენზურო დებულება სრულებით განსხვავებული იყო, კრებების უფლება შეზღუდული და სხვა. დღეს კი ეს დიქტატურა იმპერატორის ბრძანებით გაუქმებულ იქმნა და აი ამის შესახებ 26 მაისს რეიხსტაგში ჰქონდათ ფრიად საინტერესო ბაასი. კანცლერმა ბიულოვმა ისტორიულად განიხილა ის დამოკიდებულება, რომელიც არსებობდა დაპყრობილ მხარესა და დამპყრობელთა შორის და პასუხი გასცა იმ მითქმა-მოთქმაზე, რომელიც გამოიწვია იმპერატორის მოულოდნელმა ბრძანებამ დიქტატურის გაერთების შესახებ. დიქტატურას კანცლერი არა სთვლის ნორმალურ მოვლენად, მაგრამ მას განსაკუთრებული პირობანი ამართლებენო. ჩვენ ხელში უნდა გვქონოდა ისეთი უფლებანი, რომელთ ხმარება შეგვძლებოდა მათ წინააღმდეგ, ვინც ეცდებოდა ალზასის დაპყრობის ფაქტის შეცვლასაო. ფაქტიურად,—არწმუნებდა კანცლერი,—მთავრობა დიდის ზომიერებით ხმარობდა ამ განსაკუთრებულ უფლებებსო. მაგრამ თითონვე აღიარებს, რომ ხალხს უფლება ჰქონდა დიქტატურა ისე მიეღო, როგორც მუქარა და მისდამი უნდობლობაო. ასეთ უფლებებს გონიერი მთავრობა თვითონ არ შეირჩენსო. რაკი ერთხელ ხალხი დამშვიდდა და შეურიგდა ახალ სამშობლოს, დრო იყო გვეჩვენებინა, რომ კანონიერი წესი თვით მთავრობის შეხედულობითაც უკეთესია დისკრეციონულ უფლებაზეო. კანცლერი ამტკიცებს, რომ ეს ზომა კარგად იყო აწონილი და ვილჰელმ II იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ხალხის ნდობას ნდობითვე უნდა უპასუხოო. ბიულოვს სწამს, რომ ალზას—ლორენის და გერმანიის კავშირი არას დროს არ გაწყდება. გერმანელები ნებით არას ოდეს არ დაუბრუნებენ ამ პროვინციებს, რომელნიც გამარჯვებულთა ნადავლი კი არ არის, არამედ მათი ძველი კუთვნილებააო. თავისი სიტყვის ბოლოში ბიულოვმა გამოსთქვა იმედი, რომ რეიხსტაგიც ისევე მიიღებს დიქტატურის გაუქმებას, როგორც სახელმწიფოთა საბჭომ მიიღოო. ბებელმა ამაზე შენიშნა, ჩვენ არასდროს უარი არ გვითქვამს მაგაზედ, და შეერთებულმა საბჭომ მხოლოდ ახლა მიიღო ის ზომა, რომელსაც ჩვენ მუდამ ვითხოვდითო. აქამომდე მისი დატოვება მთავრობის ჯიუტობა იყო და იმ კონსერვატიული უმცირესობისა, რომელიც მუდამ ამტკიცებდა, რომ დასავლეთის საზღვარის ხელშეუხებლობა მოუხერხებელია, თუ ადმინისტრაციას განსაკუთრებული უფლებანი ხელთ არ ექნებაო. შემდეგ ბებელი შეეხო ალზასის განსაკუთრებულ მდგომარეობას. მან განკიცხა ის გერმანელი პატრიოტები, რომელთა აზრით ალზასელების საფრანგეთისადმი სიმპატია ღალატს ნიშნავს. ვთქვათ რომ ომი წაგვეგო დ მარცხენა ნაპირი რეინისა მტერს წაერთმია, ჩვენ შეგვზიზღდებოდნენ ჩვენი საკუთარი თანამემამულენი, რომელნიც მაშინვე შეურიგდებოდნენ ახალ მდგომარეობასო. სამართლიანობა და პოლიტიკური გონიერება მოითხოვდა, რომ ახლად შემოერთებულ ერისათვის უკეთესი პირობები მიგვენიჭებინათ, ვიდრე მათი უწინდელნი იყვნენო, რომ ამით ნელნელა შერიგებოდა მომხდარ ფაქტსაო.

ამის მაგიერ ალზასელებს ჩვენ დიქტატურა დავუწესეთ და არხივებიდან რევოლიუციის წინანდელი და ბონაპარტთა საფრანგეთის დროინდელი კანონები ამოვათრიეთ. ე. ი. ისეთი ატმოსფერა შევქმენით, რომელშიაც ფრანგებსა და გერმანელებს ორივეს ერთ-ნაირად უგუბდებოდათ სულიო. ალზასელებთაგან თქვენ „გერმანულ გრძნობებს“ ითხოვდით და იმდენად ბრმანი იყავით, რომ მათ დაბალ კატეგორიის გერმანელებათ აქცევდითო. ეს მუდმივი შეცდომაა პრუსიელ ბიუროკრატიისა და ახლა მასვე იმეორებთ პოლონელების შესახებო. დამიჯერეთ, შედეგიც იგივე მოჰყვება და დამშვიდების ნაცვლად, ჩვენ ვნახავთ, რომ ნაციონალური მძულვარება იფეთქებსო.

ბებელი თანაუგრძნობს ალზასელების სიამოვნებას თვითნებობის უკიდურესი ფორმების გაუქმების გამო, მაგრამ იმდენად კი ვერ გამიტაცებს სიხარული, რომ დამავიწყოს ათასგვარი შეუფერებელი არხაიზმი, რომელთაც დროა ბოლო მოეღოსო. ალზას-ლორენის სეიმი, საერო კრება უფრო კეთილშობილთა წარმომადგენლობააო. საზოგადოებათა უფლებანი უფრო შეზღუდულია, ვიდრე დანარჩენ გერმანიაშიო. ჟურნალ-გაზეთები შევიწროვებულნი არიანო. და თუმცა ადმინისტრაციას განსაკუთრებული უფლებანი ჩამოერთვა, მაგრამ კანონიერი წესიერება ჯერ კიდევ შორს არისო. „აი, ბატონო კელლერ,—მიუბრუნდა ბებელი ალზასის მინისტრს,—ხედავთ, თქვენ ჯერ კიდევ დიდი ასპარეზი გრჩებათ სამოქმედოთ!“ რამაც მთელ რეიხსტაგში ხარხარი გამოიწვია. ბებელს უპასუხა კანცლერმა, მაგრამ მისი სიტყვები ოფიციალური წარმომადგენლის სიტყვებია, რომელთაც ჩვენ აქ არ მოვიყვანთ. დიქტატურის გაუქმება, როგორც ვიცით, ერთხმად მიიღო რეიხსტაგმა.

ავსტრო-ჰუნგრეთი. გერმანელ პროგრესისტებს რჩევა ჰქონდათ, რომელზედაც გადასწყვიტეს სრული განკიცხვა გამოუცხადონ ახალგაზდა ჩეხების და პანგერმანისტების მიერ დაწყებულ ობსტრუქციას. პარტიის რეზოლიუცა უთითებს იმაზე, რომ ობსტრუქცია დიდი ხნით დააგვიანებს სამართლიან და აუცილებელ წადილის შესრულებას და დაუშლის დიდ მნიშვნელოვან სოციალურ და პოლიტიკურ კითხვების განხორციელებასო. ამის გამო ობსტრუქცია ჰუნგრეთთან თანხმობას გააძნელებს, რადგან ავსტრიის მთავრობა უნგრეთთან შედარებით არა სასურველ მდგომარეობაში ჩავარდებაო. ძველ ჩეხელთა „პოლიტიკ“-იც ჰკიცხავს ობსტრუქციას.

ახალი ამბავი

◆ ბათუმიდან გვატყობინებენ: „4 თიბათვეს ზღვით მოვიდნენ ოდესიდან ნოვოროსიის უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფი, პროფესორ **პეტრიაშვილის მეთაურობით.** ზოგიერთ საყურადღებო ადგილების დათვალიერების შემდეგ ბათუმიდან ისინი შუადღის

მატარებლით წავიდნენ ჩაქვაში ჩაის პლანტაციების დასათვალიერებლად. იმავ დღეს დაბრუნდნენ ბათუმში, სადაც ბ-ნ ი. საბახტარიშვილთან გაათიეს ღამე და შემდეგ აქაური ნავთისა და სხვა ქარხნები დაათვალიერეს. მერე „თამარაში“ წავიდნენ, სადაც ბათუმის ქართველმა საზოგადოებამ სადილი გაუმართა. ამ სადილზე ბევრი სიტყვა წარმოითქვა. სადილი დასრულდა საღამოს 9 საათზე. საღამოს მატარებლით სტუმრები ბათუმიდან წავიდნენ.

◆ ამ დღეებში ქალაქის გამგეობას სხდომა ჰქონდა, რომელზედაც განიხილეს საქმე **ხმოსანთა მომავალი არჩევნების** შესახებ. გამგეობამ, იმის მიხედვით, რომ ხმოსანთა არჩევნები სექტემბერში უნდა მოხდეს, შესაძლოდ დაინახა დასაფასებელი გარდასახადის შეუტანელი ფულის ვადა 25 ივლისამდე განაგრძოს, რის შემდეგაც, ვისაც ფული შეტანილი არ ექნება, არჩევნებში კენჭი არ მიეცემათ. ამასთანავე გამგეობამ დაადგინა, ამომრჩეველთა სიებში მოათავსოს ტფილისის ყველა საბანკო დაწესებულებანი არა ქონებრივის ცენზით, არამედ სავაჭრო-სამრეწველოთი.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭომ 13 მაისის სხდომაზე დაამტკიცა ქალაქის გამგეობის მიერ წარდგენილი წესდება, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელნათ ნ. **ზუბალაშვილის** სახელობის თავშესაფარის მართვა-გამგეობის საქმეში. გუშინ გუბერნატორმა მოსწერა ქალაქის გამგეობას სისრულეში არ მოიყვანოს და შეაჩეროს საბჭოს ეს გადაწყვეტილება.

◆ გუშინ-წინ გუბერნატორმა შეატყობინა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ მისის მხრით არავითარი დაბრკოლება არ არის, თუ ქალაქის გამგეობა შეუდგება საბჭოს დადგენილების აღსრულებას ზუბალაშვილის სახელზე შეუძლებელთა **თავშესაფარი** სახლის აშენების შესახებ ისე, როგორც ეს დაამტკიცა ქალაქის საქმეთა საკრებულომაო.

◆ გუშინ, 7 ივნისს, ტფილისის სახელოსნო გამგეობამ წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად **ხელოსანთა მოურავის** თანამდებობაზე ახლად ამორჩეულნი—მელქო რაფაილოვი და კარაპეტ სერობიანცი.

◆ სადგურ ავჭალაში გუშინ, 7 ივნისს, ღამით შემდეგი ბოროტ-მოქმედება მოხდა: ავჭალის სოფლის წმ. მიხეილ **მთავარ-ანგელოზის** სახელობის ეკლესიას დასცემიან ვიღაც ბოროტ-განზრახველნი, რომელთაც, როგორც ეტყობა, რკინის კეტით გაუტეხიათ ბოქლომი, შესულან ეკლესიაში და ტრაპეზიდან მოუტაცნიათ ვერცხლის ძვირფასი ნივთები სულ 209 მან. ღირებულებისა და სადღაც მიმალულან. ეკლესიას, იმას გარდა, რომ იგი იქვე ავჭალის სადგურთან ახლოა, ყარაულობდა ღამის დარაჯი, რომელსაც ისე ღრმად ჩასძინებია, რომ ავაზაკებისა ვერაფერი ვერ შეუტყვია. მეორე დღეს, როცა ამ სოფლის მღვდელს ლეჟავას შემთხვევით ეკლესიისაკენ გაუვლია, მაშინ შეუტყვიათ, რომ ეკლესია გაცარცვეს. ამ საქმის გამოსაძიებლად გუშინ ავჭალაში უკვე წავიდა მაზრის უფროსის თანაშემწე.

◆ როგორც შევიტყვეთ, მარტყოფის ეკლესიის გამცარცველ ავაზაკების კვალისათვის უკვე მიუგნია ტფილისის მაზრის უფროსს თავ. ჯანდიერს. ორი კაცი კიდეც დაუპატიმრებიათ. ამ საქმის გამო სასტიკი გამოძიებაა დანიშნული.

◆ ქალაქის პირველ დაწყებით სკოლებში **ორი ვაკანსია** გაიხსნა მასწავლებელი ქალისა, რის გამოც 120 თხოვნა შეიტანეს სამასწავლებლო კომისიაში. მთხოვნელთა შორის უმაღლეს განათლება-მიღებული ქალებიც არიან. აქედან ცხადადა სჩანს, როგორ უძნელდებათ განათლებულ ქალებს საქმის შოვნა და სამსახურის ადგილის მიღება.

◆ რადგანაც **მიხეილის საავადმყოფოში** ძალიან სივიწროე იყო და ავადმყოფებს არ ჰყოფნიდა საწოლები, ამის გამო ქალაქი შეუდგა იმის გაფართოვებას. ამასთანავე განზრახვა აქვთ, ამავე საავადმყოფოს მიადგან ფართო შენობა სულით ავადმყოფთა განყოფილებისათვის.

◆ **ბავშვთა სამზრუნველო** ტფილისის საზოგადოებამ ავლაბრიდან თავშესაფარი დიდუბეში გადაიტანა. თავშესაფარის მზრუნველმა გუშინ, 7 ივნის, სთხოვა ტფილისი-ქალაქის გამგეობას თავშესაფარს უსასყიდლოდ დაუთმოს დიდუბის ონკანიდან წყალი.

◆ როგორც შევიტყვეთ, სააფთიაქო წამლებით მოვაჭრე ამიერ-კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოებას გარდაუწყვეტია ტფილისში შეიძინოს საკუთარი აფთიაქი მთელის თავისის მოწყობილობითა და სალაბორატორიო განყოფილებით.

◆ დღეს, 8 ივნისს, ტფილისის სამოსამართლო პალატა **განიხილავს შემდეგ საქმეებს:** ირაკლი გელაძისას, რომელსაც კაცის კვლა ჰბრალდება, ერასტო ახალაიასს, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ჰბრალდება, ნახიჩევანის მომრიგებელ შუამავლად ნამყოფის ნიკოლოოზ რომანოვსკისას, რომელსაც ლესკოვის ქალის მოკვლა ჰბრალდება და სხვათა. რომანოვსკის დაიცავს პეტერბურგელი ვექილი ბ-ნი გრუზენბერგი.

◆ ორშაბათს, 10 ივნისს, **გორში მიემგზავრება** ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია, რომელმაც სხვათა შორის, 12 ივნისს უნდა განიხილოს საქმე მთავარ დიაკონის იოსებ თეიმურაზის ძის წერეთლისა, ანტონ გელაშვილისა‘ სიმონ კუმსიშვილისა, დავით ჯაგაშვილისა, ნ. აპაიშვილისა, დავით გოჩაშვილისა, სოლომონ ახალკაცისა, სარდიონ არავიაშვილისა, ალექსი შოშიაშვილისა და ესტატე პაპაშვილისა, რომელთაც ქარელის ეკლესიის გატეხა და აქიდან სხვა-და-სხვა ნივთებისა და ფულის წაღება ჰბრალდებათ.

◆ როგორც ტფილისის პოლიცმეისტრის მიერ გუბერნატორთან წარდგენილ ცნობებიდანა სჩანს, გასულ მაისს ტფილისში **შემდეგი ბოროტ-მოქმედებანი მომხდარა:** წვრილმანი ქურდობა—14, მსხვილი ქურდობა—6, მკვლელობა—3, კაცის დაჭრა—8, ამას გარდა თავი მოუკლავს ერთ კაცს, მოუწამლია—2, სხვა უბედური შემთხვევა მომხდარა—5 და მიგდებული ბავშვი უნახავთ—7.

◆ გუშინ ტფილისის სააუქციონო ზალის გამგემ წარუდგინა მოკლე ანგარიში ტფილისის ქალაქის გამგეობას სააუქციონო ზალის ორის წლის განმავლობაში მოქმედების შესახებ. როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს, მისი საქმე დღიდან მისი მოქმედების დაწყებისა უკეთ მიდის. 1900 წლის 20 აპრილიდან 1901 წლის 1 იანვრამდე სულ შემოსულა საჯაროდ ნივთების გაყიდვით 28,494 მან. 63 კაპ., ხოლო 1901 წლის განმავლობაში 57,731 მან. 14 კაპ. ზალის გამგე აცხადებს სურვილს გადმოტანილ იქმნეს სადგომი გოლოვინის პროსპექტსა ან პუშკინის ქუჩაზე, რადგანაც ბაზართან დაახლოვებული იქნება და მისი მოქმედება უფრო გადიდდება. ანგარიშიდანა სჩანს, რომ ზოგიერთ დაწესებულებათ, წინააღმდეგ მათის წესდებისა, ზედ გავლენა ჰქონიათ ქალაქის სააუქციონო ზალაზე, რომ შემოსავალს 6% 4% მდე აპატარავებინებენ. ამასთანავე ზალის გამგე აღნიშნავს წესდების მე-9 მუხლისაგან გამოწვეულ უხერხულობას, რაც მეტად თურმე აფერხებს მის მოქმედებას.

◆ როგორც შევიტყვეთ, ტფილისის საბადოსნო სკოლის სპეციალურ საგნების მასწავლებელი ა. ა. გრისეტი თავს ანებებს სამსახურს საბადოსნო სკოლაში.

◆ 6 ივნისს, დილის 8 საათზე, პოლიციის პირველ ნაწილში, ვერის დაღმართზე, ბუჩქებში ნახეს ნახევრად გახდილი ევროპიულ ტანისამოსში გამოწყობილი 35 წლის ვიღაც კაცის გვამი. როგორც ეტყობა, ეს კაცი ბოროტ-მოქმედთ ქვით მოუკლავთ, რადგანაც სახეზე ნიშნები ეტყობა. მოკლული კაცი ტომით რუსი უნდა იყოს. გვამი მიხეილის სამკურნალოს საანატომიო განყოფილებაში წაიღეს. მოკლულის ვინაობისა და ბოროტ-მოქმედთა აღმოსაჩენად ზომები იქმნა მიღებული.

◆ ამას წინად ტფილისის ბავშვთა თავშესაფარის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ ნება მიეცეს თავისი თავისუფალი თანხები ტფილისის კერძო ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებშიაც მოათავსოს. მთავრობამ არ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა.

◆ სტუდენტი გ. თალაკვაძე მადლობას უცხადებს ყველა იმ პირთ, რომელთაც მის სასარგებლოდ გამოიღეს თავიანთი წვლილი. ფული ორმოცდა თექვსმეტი მანეთი (56 მ.) მას მიუღია ქ-ნ ნატალია ქიქოძისაგან, რომელსაც შრომის მიღებისათვის დიდს მადლობას უძღვნის.

◆ სადგურ ბეიუკ-კიასიკიდან იუწყებიან, რომ ექვსს ივნისს უფროსი კონდუქტორი სევასტი შარამელიძე, რომელიც მიმავალს მატარებელზე შეხტომას აპირებდა, მატარებელ ქვეშ მოჰყვა, რის გამოც თვლებმა ორივე ფეხის ქუსლი მოჰგლიჯა. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ სადგურ წიფადან იტყობინებიან, რომ ექვსს ივნისს, როდესაც სადგურიდან დაიძრა სახალხო მატარებელი №-6, ტელეგრაფის კასის დარაჯი იურკოვი შეხტა ვაგონის კიბეზე, მაგრამ ფეხი დაუსხლტა და ვაგონებ შუა ჩამოეკიდა. მატარებელი მალე შეაჩერეს და ამით სიკვდილს გადაარჩინეს იურკოვი.

ქუთაისის ახალი ამბები

~ წელს. ქალების ქუთ. პროფესსიონალურ სკოლაში სწავლა დაამთავრა და მოწმობებიც მიიღო ოც-და-შვიდმა მოწაფემ; ყველა ქართველებია; იმათი სახელი და გვარი:

აბაშიძე ნინა, ბალანჩივაძე ოლღა, გიგინეიშვილი დომინიკა, გიორგაძე სარა, გოგიშვილი დარია, დონდუა მინადორა, კოსტავა მინადორა, კაკაბაძე ეფროსინე, ქაჯაია ელენე, კაკაბაძე მარიამ, ქვარიანი სოფიო, ნიჟარაძე ნინა, ნიჟარაძე მარიამ, ნიქაბაძე ლიდა, სირაძე ოლღა, ჩიხლაძე ლიუბა, ჩოგოვაძე ვერა, ჭკოგავა მატრონა, ჭოლოშვილი ვერა, კალანდაძე თამარა, ქაბზინაძე აგრაფინა, ცაგარეიშვილი ელენა, რუხაძე ეპრაქსია, ფხაკაძე ოლღა, შარაბიძე ეკატერინა, ხახალეიშვილი ვერა და თორთქლაძე იგლიტა.

პრესსა

არ ვიცით, მოეხსენება თუ არა მკითხველებს, რომ „ჩვენი მეგობარი“ ნეტარხსენებული ველიჩკო ახლა რედაქტორია ერთის ჟურნალისა. დიახ, ბ. ველიჩკომ და ცნობილმა კამაროვმა შეიძინეს შესაფერისი ჟურნალი—ცნობილი „რუსსკი ვესტნიკ“-ი, რომელიც „მოსკოვ. ვედომ.“-ის განუყოფელი ძმაა, და გამოილაშქრენ ჩვეულებრივის რიხითა და ზეიმით. რაიაო, რას აულელვებია ახლა „ცნობილი მგოსანი და პუბლიცისტი“? ვის დასჩხავის ახლა თავს, ვის ეომება ეს „უშიშარი რაინდი“?.. ბ. ველიჩკოს სომხები დავიწყებია და ახლა რუსეთის მტრებად ულიარებია... ლიბერალები, ნაროდნიკები, ისტორიული მატერიალიზმის მიმდევარნი, ერთი სიტყვით, ყველა ისინი, ვინც წინააღმდეგია გრინგმუტების, კამაროვების, ველიჩკოების და სხვათა ამგვართა პატრიოტულ მოძღვრებისა. ველიჩკო დიდის ამბით, და მის ჩვეულებრივ პატეტიზმით აცხადებს, რომ ახლა რუსეთში შესანიშნავი მოძრაობა დაიწყოო, ნამდვილი რუსული პატრიოტიზმიო, რომელსაც სახელად ეწოდებაო „націонализація русской мысли и жизни“, ამ რუსული პატრიოტული მოძრაობის ხანა სრულიად უდრის თავის მნიშვნელობით პეტრე დიდის ხანასაო!

ამ თავხედურ მხილებას ძალიან გაუკვირვებია პატივცემული „ვესტნიკ ევროპი“; გულმოდგინეთ გადაუკითხავს ველიჩკოს „რუსსკია რეჩი“ (ასეთი სათაური აქვს „ოტკროვენნია რეჩი“-ს მეორე გამოცემას) და ვერაფერი გაუგია ამ ახალის ხანისა. ჟურნა-

ფელეტონი

წერილი სვანეთიდან

თავისუფალი და სადადიანო სვანეთი.—მისვლა-მოსვლა.—სწავლა განათლების საქმე.—ხასიათის სირბილე თავისუფალი სვანეთის მკვიდრთა, ხოლო სიტლანქე და სილაღე სადადიანო სვანეთის მცხოვრებთა.—სკოლებისა და ნასწავლთა რიცხვი.—სამღვდელოება და მისი ვინაობა.—კაცის კვლა, ჩეხა, დაჭრა.—„მიჯვრა“—რკინიანი ჯოხი.—ლაშხეთის საზოგადოება და მისი სიავ-კარგე.—გზების მდგომარეობა.—ავდრიანობა და სიცივეები.

სვანეთის ორივე ნაწილის (სადადიანოსა და თავისუფალის) მდებარეობა, როგორც იცით, ერთნაირი არ არის: თავისუფალს სვანეთს უჭირავს უმაღლესი ადგილი, ვიდრე სადადიანოს, და კავკასიონის უმთავრესი ქედის ძირშია მიკუნჭული. სადადიანო სვანეთის სოფლები დაფენილია მდინარე ცხენის წყლის ნაპირებზე და შედარებით უფრო მდაბალი ადგილი უჭირავს. ამიტომაც ჰავა პირველში უფრო მკაცრია, ვინემ მეორეში. ენკენისთვე-წიწკობისთვეში გზა თავისუფალ სვანეთისაკენ იკვრის და მთელი 8—9 თვე მისვლა-მოსვლა შეჩერებულია. მართალია, ზამთარში ხანდისხან ფეხითაც შეიძლება მოგზაურობა, მაგრამ ეს იმდენად საშიში და საძნელოა, რომ ადამიანს ყველაფერს დაავიწყებს... აქ თქვენ ყველაფრისა უნდა გეშინოდესთ შვავისაც, სიცივისაც, ქარ-ბუქისაც და სხვისაც. ესენი კი სადადიანო სვანეთში მაინც და მაინც არც ერთი არ გაწუხებთ იმდენად, რამდენადაც პირველში. გზა სადადიანო სვანეთიდან ლეჩხუმისაკენ ძვირად იკვრის და თუ შეიკრა, ისიც რამდენიმე დღით ზვავების გამო.

მართალია, არც აქაური გზებია უშიშარი და ზარდაუცემი, მაგრამ უზარმაზარი, მუდამ თოვლიანი მთები მაინც არ არის გადასავლელი. ერთი სიტყვით, გეოგრაფიული მდებარეობის ძალით სადადიანო სვანეთს უპირატესობა უნდა ჰქონდეს ყოველივე მხრით თავისუფალს სვანეთზე და წინ უნდა იდგეს მასზედ, მაგრამ ეს ასე არ არის. თავისუფალი სვანეთი ბევრად წინა სდგას მეორეზე.

ჩვენ ვამბობთ სწავლა-განათლების შესახებ, რომელიც სადადიანო სვანეთს ჯერ არც-კი მოსცხებია. როგორც განათლების, ისე მოქალაქეობის მხრითაც თავისუფალმა სვანეთმა წასდგა წინ რამდენიმე ნაბიჯი, სადადიანო სვანეთი-კი ისევ სიბნელით მოცულს მორევში სცურავს და არავითარი წინსვლა მას არ ეტყობა. როდესაც სახარების ჭეშმარიტება სადადიანო სვანეთს ჯერ არც გაჰკარებია ახლოს, თავისუფალს სვანეთში იგი ცოტათ თუ ბევრად შეგნებული აქვს ხალხსა. ზნე-ხასიათი თავისუფალს სვანეთში უფრო დარბილებულია, ვიდრე სადადიანოში: აქ ისევ ხასიათის ის სიტლანქე და სილაღეა, როგორიც აქამდისინ სუფევდა.

თავისუფალმა სვანეთმა რომ გაასწრო სადადიანო სვანეთს სწავლა-განათლების მხრით, ამას გვიმტკიცებს ჯერ სკოლების რიცხვი და მერმე თითონ ნასწავლთა რაოდენობა. თავისუფალს სვანეთში, სადაც 14 მრევლია, სულ 13 სკოლაა: 7 საეკკლესიო (ქრისტ. აღმადგ. საზოგად.) და 6 სამინისტრო. სადადიანო სვანეთში-კი, რომელიც 11 მრევლისაგან შესდგება, ორი საეკკლესიო სკოლაა*) და ორიც სამინისტრო. თავისუფალ სვანეთის საეკკლესიო სკოლებში სწავლობს 319 ბავშვი**) და სამინისტროში—100-მდე (საეკკლესიო სკოლებში 219 ბავშვით მეტია!), ესე იგი სულ თავისუფალი სვანეთის სკოლებში 419 ბავშვი სწავლობს. სადადიანო სვანეთის ორს საეკკლესიო სკოლაში სწავლობს 54 ბავშვი, სამინისტროსაში(2)-კი 28 ბავშვი, სულ 82 სული, ასე რომ თავისუფალი სვანეთის სკოლებში წერა-კითხვასა სწავლობს 337 ბავშვით მეტი, ვიდრე სადადიანო სვანეთში. ეხლა ვიკითხოთ რამდენს სულს მიუღია საშუალო თუ სხვა განათლება? თავისუფალს სვანეთში მცხოვრებთაგან სწავლა-განათლება მიუღია ჯერ-ჯერობით 30—35 სულს (არ იფიქროს მკითხველმა, რომ ჩვენ ამით ვამაყობდეთ; კნინი ციფირებია, მაგრამ იგი ჩვენ მხოლოდ შესადარებლად მოგვყავს), რომლებიც თითქმის ყველა სამსახურშია, და სწავლობს ეხლახან ქალაქების სხვა-და-სხვა სასწავლებლებში 20—25 კაცი, რომელთაგან ერთი უნივერსიტეტს ათავებს (იგ. ნიჟარაძე ს. უშგულიდან). სადადიანო სვანეთში კი სწავლა მიღებულნი უფრო მცირეა: სულ რომ გავადიდოთ, ხუთს არ აღემატება; სხვაგან სწავლობს 3—5 ბავშვი. ეხლა გავიგოთ, თუ რამდენი ჟურნალ-გაზეთი მოდის თავისუფალს სვანეთს და რამდენი მეორეს? თავისუფალ სვანეთში მოდის შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: 2 „ივერია“, 3 „ცნობის ფურცელი“-„მოამბე“, 2 „კვალი“, 3 „ნოვოე ობოზრენიე“, 2 „კავკაზი“, 1 „სპ. ვედომოსტი“, 3—4 „ნივა“, 4 „მწყემსი“ *). სადადიანო სვანეთს მოუდის ერთად ერთი ეგზემპლარი „ცნობის ფურცელ“-„მოამბისა“.

---

*) ერთი ამათგანი ქრისტ. აღმადგ. საზოგადოებისაა.

**) „ცნობ. ფურცლის“ მე-1776-№-ში ვიღაც მკვიდრი ამბობს, რომ „ქრისტ. აღმადგ. საზოგ. სკოლების საქმე ამ ჟამად თან-და-თან უკან მიდისო. წლეულს, მაგ. სამს სკოლაში სრულიად შეწყვეტილია სწავლაო“. მაგრამ, როგორც მას უპასუხეს იმავე გაზეთში, ეგ ამბავი ტყუილია. „მკვიდრი“ დააკვირდეს ზემორე მოყვანილს ციფირებს და მაშინ მიხვდება, თუ რა არის სამწუხარო მოვლენა!.. მართალია, ორიოდე სკოლაში სწავლა დროებით შესწყდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სრულებით შეწყვეტილიყოს... ამ გვარი შეწყვეტა-შეჩერება სწავლისა-კი სხვა სკოლებში ბეჯრივითა ხდება!... მაგრამ იქ ვინაა მთქმელი სიმართლისა!..

*) ეგები ეს ციფირები ვერ არის ნამდვილი, მაგრამ განსხვავება იმდენი არ იქმნება, რომ ცოდვათ ჩაგვეთვალოს.

ლი დასძენს: გაგვახსენდა ცნობილი რუსული ანდაზა „ერთ მილიონ ამბიციაზე და გროშ ამუნიციაზეო“. მართლაც, ველიჩკოსა და კამაროვის რეაქციონურ მოძღვრებაში ახალი არა არის რაო: აქ არეულია სლავიანოფილთა და კატკოვ-გრინგმუტის რწმენა-მოძღვრებანიო.

სწორედ სასაცილო შთაბეჭდილებას ახდენსო, სწერს დარბაისელი „ვერტნიკ ევროპი“, ველიჩკოსა და კამაროვის ცდა—დაამტკიცონ სრულიად ახალის ხანის დაწყება რუსეთში. ველიჩკოს ამის დასამტკიცებლადა და კონსერვატორთა გამარჯვების ნიშნებად მოჰყავს შემდეგი ფაქტები: რუსეთის ისტორიულ განათლების მოღვაწეთა საზოგადოების დაარსება, პეტერბურგში „რუსულის საკრებულოსი“ (კლუბის) დაწესება, მოსკოვში ნაციონალისტთა წრის შედგენა და ხარკოვში ჟურნალის „მირნი ტრუდ“-ის დაარსება. აი ფაქტებიო, რომელნიც, „რუსკ. ვესტნიკ“-ის სიტყვით, გვიწინასწარმეტყველებენ ახალის დროის დადგომასაო! თუ ამ ფაქტებს დავუმატებთ კიდევ იმ გარემოებას, რომ „რუს. ვესტნიკ“-ის გამოცემა ველიჩკომ და კომაროვმა იკისრეს, ადვილად წარმოსადგენია, რომ ახლანდელი ხანა პეტრე დიდის რეფორმებს მოგვაგონებსო!

ბოლოს „ვესტნიკ ევროპი“ შეჰნიშნავს: „რუსსკი ვესტნიკ“-ის რედაქტორებს უნდა გავახსენოთ, რომ მათი გადამეტებული პრეტენზია და თავხედობა უფრო ხშირად სრულის უძლურების მაჩვენებელია!.,

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა საზოგადო მორიგი კრება 1902 წელს

(2 ივნისის სხდომა)

კრება გაიხსნა 12 საათზე გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის ს. ნ. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით.

გამგეობის წევრი ი. პ. ჯაიანი კითხულობს გამგეობის მოხსენებას იმის შესახებ, რომ ბანკზე დარჩენილი მამულების მოვლა პრაქტიკულად ვერაა ხეირიანად დაყენებული, რადგან აგენტების თვალ-ყურის დევნება შეუძლებელიაო (აგენტს ეძლევა მამულების მთელი შემოსავლის 20 პროცენტი). ამიტომ გამგეობა ურჩევს საზოგადოებას შეიცვალოს მამულების მოვლის სისტემა ამგვარად: დაინიშნოს ერთი მმართველი, რომელსაც მიეცეს ყოველ-წლიური ჯამაგირი 1200 მანეთი და მთელი შემოსავლის 1 პროცენტი, ერთი მმართველის თანაშემწე, რომელსაც მიეცეს 10 პროც. მთელი შემოსავლისა.

შემდეგ ზედამხედველი კომიტეტის წევრი მ. ფალავა კითხულობს კომიტეტის მოხსენებას თითქმის იმავე შინაარსისას, როგორიც იყო გამგეობის მოხსენება, მხოლოდ მმართველის ჯილდოთ მათ ნაჩვენები აქვთ 1800 მანეთი.

დ. გ. წულუკიძე: ბანკზე დარჩენილი მამულები ძლიერ ცუდს მდგომარეობაშია, ხარჯი მეტი მიდის მათზე, ვიდრე შემოსავალი აქვთ. მაგალითად, 1901 წელს ბანკზე დარჩენილ 2440 დესიატინა მამულს, რომელსაც აწევს 144,000 მან. ვალი, შემოუტანია მხოლოდ 510 მანეთი, ესე იგი 7/20 პროცენტი, ანუ ას მანეთში დარჩენილ მამულს შემოუტანია 35 კაპ. ეტყობა, გამგეობას არ უფიქრია იმაზე, თუ რამ გამოიწვია დარჩენილი მამულების ასეთი ცუდი მდგომარეობა. ავიღებ, მაგალითად, 1898 წლის ნოემბერში დაგირავებულ მამულს, ზუგდიდის მაზრაში მდებარეს, რომელიც ეკუთვნოდა თ. ანჩაბაძეს. არ გასულა წელიწად-ნახევარიც, მეპატრონემ ხელი აიღო ვალის ხდაზე და მამული ბანკს ჩაატოვა. რატომ ბანკის გამგეობამ ყურადღება არ მიაქცია ამ მოვლენას, რათ არ გამოიკვლია მამულის ჩარჩენის მიზეზი? იქნება, დამფასებლებმა მოატყუილეს ის და იმათზე მეტი სესხი მიაცემინეს თ. ანჩაბაძისათვის, რაც მამული ნამდვილად ღირდა; იქნება, ადგილის მეპატრონეს იმედი ჰქონდა, ისევ მე ვისარგებლებ მამულით, რადგან ბანკი ყურადღებას არ მიაქცევს მის მოვლას, და ფული ტყუილად რად ვიხადოვო.

ნ. დ. ერისთავი: მე უარს არ ვყოფ, რომ საზოგადოთ ბანკზე დარჩენილ მამულების მოვლა ვერაა რიგიანად დაყენებული; რაც შეეხება ანჩაბაძის მამულს, მისი საქმე სრულიად განსხვავებულია: მისი დაფასება რაღაცა არა ჩვეულებრივი იყო; დამფასებლებმა ისეთი მოხსენება წარმოადგინეს ამ მამულის შესახებ, თითქოს ის ძლიერ ძვირფასი ადგილი იყოს, თითქოს უმისოდ გლეხებს განძრევა არ შეეძლოთ; მაგრამ, როგორც ახლა აღმოჩნდა, ადგილი საშინელი მწირე, ქვიანი ყოფილა, და ისიც სანადელო გლეხებს სჭერიათ ხელში. მე ვფიქრობ, დამფასებლებს არც კი უნახავთ ეს მამული, თორემ ასეთ საძაგელ მამულს ცამდის როგორ აიყვანდნენ!

დ. გ. წულუკიძე: ის აზრი, ვითომც დამფასებელთ ადგილი არ უნახავთო, მტკნარი სიცრუეა; ერთი დამფასებელთაგანი მაშინ მეც ვიყავი; ადგილი, რასაკვირველია, ვნახეთ, კარგად გავსინჯეთ; მართალია, ცოტა ქვიანი ადგილი კია, მაგრამ, რაც შეეხება მის სიმწირეს, ამის თქმა კი ყოვლად შეუძლებელია. მე 44 წლის კაცი ვარ, 8 წელიწადი დამფასებლად ვიყავი, მაგრამ ძვირად, თითქმის სულ არ მინახავს ისეთი ნახეირები სიმინდი, როგორიც ამ ადგილში იყო: თითო ძირზე 3—4 თითო წყრთა ტარო ეკიდა. აქ უთუოდ სხვა რამ ყოფილა მიზეზი და არა დამფასებლებისაგან ადგილის უნახაობა.

დ. ა. ლორთქიფანიძე: როგორც ვხედავთ, ბანკზე დარჩენილი მამულები ძლიერ ცუდს მდგომარეობაშია; ამის მიზეზი ერთი ის ყოფილა, რომ უწინდელი მეპატრონეები და კერძო პირები ხელს უშლიდნენ მამულების მოვლას, და მეორე—ბანკისაგან მამულების თავის დროზე დაუმტკიცებლობა. ჩემი ფიქრით, ამ დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლად საჭიროა მივიღოთ ზედამხედველ კომიტეტისაგან ნაჩვენები ზომა, ე. ი. უნდა არჩეულ იქმნას ერთი მმართველი, რომელიც იყოლიებს აგენტებს სოფლებში და თვალყურს ადევნებს უკანასკნელთა მოქმედებას. მე არ შემიძლია საყვედური არ გამოვუცხადო გამგეობას, რომელსაც ნაკლები ზრუნვა გამოუჩენია მამულების მოვლაში. იმ მამულებიდან, რომელსაც მარტო ბანკის ვალი 144,000 მანეთი აწევს, ბანკის შემოსავალია წარსულ წელში მხოლოდ 510 მანეთი. დარჩენილ მამულთა სიაში ბევრი ძლიერ კარგი მამულია; მაგალითად, მე ვიცი ერთი მამული,—წინანდელი მეპატრონის ვინაობას არ დავასახელებ,—რომელსაც წლიურად სულ თამამად შეეძლო შემოეტანა 1,500 მანეთი. აქ არც მეპატრონისაგან იქნებოდა არავითარი ხელის შეშლა და არც კერძო პირთაგან. ასეთი ძვირფასი მამული ბანკზე ითვლება 1882 წლიდან და ზარალის მეტი არაფერი შემოაქვს. საკვირველია, გამგეობას არ უზრუნვია ამ მამულის დამტკიცებაზე!

მ. დარახველიძე: იმას მტკიცება არ უნდა, რომ ბანკის საქმეები და კერძოთ დარჩენილ მამულებისა ძლიერ ცუდად მიდიოდა; ეხლა მაინც ვეცადოთ, რომ საქმე გამოვაკეთოთ. როდესაც ოჯახში რამე საქმე წახდება, გლახა დიასახლისი ყოველთვის მოსამსახურეს გადააბრალებს. ჩემის ფიქრით, გამგეობაც ამ დიასახლისივით მოიქცევა, თუ მმართველი დავნიშნეთ: თვითონ ხელს დაიბანს და წამხდარ საქმეს მამულების მმართველს მოახვევს კისერზე.

ა. თ. ნანეიშვილი: მე, ბატონებო, სრულიად არა ვარ კმაყოფილი გამგეობის პასუხითა და მოხსენებით. ნათქვამი იყო, ზოგი მამული დიდ შემოსავალს იძლეოდა და ზოგი მცირეს. დიდი შემოსავალი რომ არც ერთიდან არ ყოფილა, ამას მტკიცებაც არ უნდა, მაგრამ ეს უეჭველად უნდა ვიცოდეთ, როდის რა მამულს რა შემოსავალი ჰქონდა, რომ სხვა-და სხვა წლების შემოსავალთა შედარებით ერთ დასკვნამდე მივიდეთ. შარშან, მაგალითად, მთელი შემოსავალი ყოფილა 510 მნეთი; წინა წლებში რა იყო, არ ვიცით. ბანკის რევიზორმა ბ. ჟუკოვსკიმ აღნიშნა საშუალებანი, როგორ შეიძლებოდა მამულების უკეთ მოვლა; ზედამხედველმა კომიტეტმა ინსტრუქცია მისცა გამგეობას, მაგრამ უკანასკნელმა არ შეასრულა. საკვირველია გამგეობის ასეთი თვითნებობა!

ბ. ე. თაყაიშვილი: რომ გამგეობასა და ზედამხედველ კომიტეტს მეტი ზრუნვა, მეტი ფხიანობა გამოეჩინათ, ბანკზე დარჩენილი მამულები ასეთ ცუდს მდგომარეობაში არ იქნებოდა. მაგრამ ეხლა მეტი რა გზაა—უნდა შემდეგისათვის ვიზრუნოთ. ჩემის ფიქრით, ზედამხედველ კომიტეტის წინადადებას გამგეობის წინადადება სჯობია: უნდა დაინიშნოს მმართველი, რომელსაც პროცენტიული ჯილდო მიეცეს. მაგრამ მმართველი უნდა იქნეს ძლიერ სანდო, ბეჯითი და მასთან მაგარი კაცი.

დ. თ. ლოლუა: რა ვქნათ, რომ მამულების საქმე გლახათაა, ჩვენ ამას უარს არ ვყოფთ, მაგრამ ეხლანდელ მდგომარეობაში მათი უკეთ მოვლა შეუძლებელი იყო. ყველამ იცის, რა ძნელია მამულის მოვლა, ნამეტურ წვრილი მამულებისა, რომელნიც მთელს გუბერნიაში დაფანტულია. ჩემის ფიქრით, ასე უნდა მოვიქცეთ: დავიქირავოთ ერთი მმართველი, რომელსაც წლიურად მიეცემა 1800 მანეთი; ეს მმართველი ყოველ მამულს ჩააბარებს მამულისავე მახლობლად მცხოვრებ პირს, რომელიც დიდ სასყიდელს არ მოითხოვს გასამრჯელოდ; სრულიად საკმაო იქნება, თუ ჩალას ან რამოდენიმე გოდორ სიმინდს მისცემთ მას. მხოლოდ ეს კია, რომ, როდესაც ბანკს მამული რჩება, მაშინვე ჩავაბაროთ და კაცი ჩავაყენოთ შიგ.

ბ. ხაბურზანია: ჩემის ფიქრით, მამულების მმართველი ქუთაისში იცხოვრებს და აქედან განაგებს მთელს გუბერნიაში გაბნეულ მამულებს. ეს შეუძლებელია: მამულების მართვა და კაბინეტში ჯდომა არ მოხერხდება. ბევრათ აჯობებს, მმართველის ჯამაგირით ბანკის გამგეობამ ადგილობრივ იყოლიოს რამდენიმე აგენტი, რომელთაც თვითონ უნდა მოსთხოვოს ანგარიში.

თავმჯდომარე წინადადებას იძლევა ადგენ ის პირნი, რომელთაც სურთ ზედამხედველ კომიტეტის წინადადების მიღება. უმრავლესობა დგება.

შემდეგ თავმჯდომარე გადავიდა ახალ კითხვაზე: ბანკის წესდების შეცვლა და დამატება.

ნ. დ. ერისთავი: ვიშუამდგომლოთ ნება მოგვეცეს, რომ დაბებში და დადების მსგავს სოფლებში გავცეთ სესხი (დამატება წესდების § 28).

გ. ბ. ლორთქიფანიძე: ეს კითხვა უკვე გადაწყვეტილი იყო, ეხლა მხოლოდ უნდა განვაახლოთ შუამდგომლობა.

წინადადება მიღებულ იქმნა.

ნ. დ. ერისთავი: ეხლანდელი ინსტრუქციით, თუ მამული 4,000 მანეთზე მეტი ღირს, სამი დამფასებელი უნდა წავიდეს დასაფასებლად, რაც ბევრ ხარჯს იწვევს. ვიშუამდგომლოთ, რომ თუ მამული 10,000 მანეთზე მეტი ღირს, მხოლოდ მაშინ გაიგზავნოს სამი დამფასებელი; დანარჩენ შემთხვევებში კი—ერთი.

გ. ბ. ლორთქიფანიძე: გამგეობას ნება მიეცეს, ზოგიერთ შემთხვევებში, თუ საჭიროდ დაინახვენ, სამიც გაგზავნონ, თუ გინდ 10,000 მანეთიც არ ღირდეს მამული.

ბ. თაყაიშვილი: ბატონებო! სამ კაცს რომ აგზავნიდენ დამფასებლად, მაშინაც იმდენი შეცდომები დაუშვეს, რომ 144.000 მანეთის მამულები ჩაარჩინეს ბანკს მხოლოდ ზარალის მოსატანად, და ერთი კაცი რას იზამს!

შემდეგ ა. თ. ნანეიშვილის წინადადებით შეცვლილ იქმნა §§ 93, 64, 75. ამათში პირველი შეეხება იმას, რომ მსესხებლებთან ერთად თავად-აზნაურთაც, რიცხვით 50, შეეძლოთ საზოგადო კრებაზე რაიმე წინადადების ან საჩივრის წარდგენა; მეორე და

მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა (სადადიანო სვანეთის დაქვეითების) ბევრია და მათი ჩამოთვლა ამ წერილის მიზანს არ შეადგენს. მხოლოდ ვიტყვით, თუ სამღვდელოება რამდენად იღებდა მონაწილეობას სწავლა-განათლებისა და სახარების ჭეშმარიტების გავრცელების საქმეში. ჯერ არ იქმნება ურიგო გავაცნოთ მკითხველს სვანეთის სამღვდელოების ვინაობა. თავისუფალს სვანეთში 15 მღვდელში—ექვსს საშუალო განათლება აქვს მიღებული, ხოლო დანარჩენებს შინაური. ამათში 8—სვანთაგანია. სადადიანო სვანეთის 11-ს მღვდელში მხოლოდ ორს აქვს მიღებული საშუალო განათლება, დანარჩენებს კი შინაური. თავისუფალი სვანეთის სამღვდელოებას არ მოუტანია-თქო ნაყოფი,—ამას ვერ ვიტყვით, რადგან იგი შეძლებისდაგვარად წინ უძღოდა ხალხს სინიდისიერად... რაც შეეხება სადადიანო სვანეთის სამღვდელოებას, ამათში თითქმის არც ერთს არა უზრუნვია-რა სწავლა-განათლებისა და ხასიათის გასწორების საქმეში. არ უზრუნვია იმიტომ, რომ არც შეეძლოთ, რადგან ვერ იყვნენ მომზადებულნი ამისათვის (ჩვენ ვამბობთ უმეტესობაზე). თუ ადგილობრივი სამღვდელოება ვერ უძღოდა წინ ხალხს, არც თავად-აზნაურობას უფიქრნია რამ თავისი შვილების განათლებაზე. თითქო არაფერიაო, არც მთავრობას მიუქცევია ყურადღება ამ მოვლენისათვის და სადადიანო სვანეთს თან-და თან უტოვებია უვიცების მორევში..

მოუმზადებელი სამღვდელოების ასეთმა გულგრილობამ ის შედეგი გამოიწვია, რომ ხალხის თვალში მან დაჰკარგა წინანდელი ის გავლენა-სიყვარული, რომელიც დედა-ბოძი იყო მათ შორის ერთობისა. სამღვდელოებას რომ ზურგი შეაქცია ხალხმა, მერმე მისი მასწავლებელნი შეიქმნენ დაბა-ქალაქები, სადაც დადიოდა იგი სამუშევრად და სწავლობდა ყოველსავე ცუდს. ამგვარად გაქალაქებულებმა დაუწყეს სამღვდელოებას „იმერული“ საჩივარ-დანოსებით“ ჩხუბი. რამდენად უმნიშვნელოა თავის-თავად ეს „დანოსები“, უფრო მეტად სამწუხაროა თვითონ ეს გარემოება, რადგან მას ძლიერ ცუდი შედეგი მოსდევს... ძლიერ საჭიროა სადადიანო სვანეთისათვის ნასწავლი მღვდლები (მეტადრე სვანთაგანი) და საეკლესიო სკოლები, რომლებისაგანაც უნდა მოველოდეთ, ჩვენის ფიქრით, რამოდენიმედ ხსნას იმ სიბნელისაგან, რომელიც აქ იმდენად შესამჩნევია, რომ კაცს მეთერთმეტე საუკუნის დროს მოაგონებს... მართალია, ამ ხალხის ასე უცბად გატეხა ისე ძნელია, როგორც აქლემისათვის ნემსის ყურსში გაძრომა, მაგრამ მეცადინეობასა და ქრისტეს ცხოველს სიტყვას ბევრი რამ შეუძლის!..

კაცის კვლა, დაჩეხა-დაჭრა და ქურდობა აქ ხშირი მოვლენაა. ჩხუბი ისეთი სასტიკი იციან, რომ ადამიანობას დაგავიწყებთ. უფრო მკაცრ იარაღთაგანია ეგრედ წოდებული „მიჯვრა“—რკინიანი ჯოხი, რომლის დარტყმისაგან დაშავებული ადგილი იბეჟება და მთელს სხეულს არყევს. არ არის აქ არც დიდი, არც პატარა, რომ ხსენებული „მიჯვრა“ არა ჰქონდეს. ამას დაუმატეთ ხანჯალი, მერმე სხვა თოფ-იარაღი და თქვენ წინ დაიხატება „ლინჩის“ ნამდვილი მიმდევარი კაცი, მხოლოდ სულ სხვა ტომის სახელით და სხვა ქურქში.

აქაური ხალხის სიმკაცრეს, სხვათა შორის, შემდეგი ამბავი გვიმტკიცებს, რომელსაც ადგილი ს. ნაცულში ჰქონდა. აღდგომა დილას ერთ გლეხს, როდესაც იგი ეკკლესიის კარებიდან გამოდიოდა და ქუდი კიდევ არ დაეხურა, „ქრისტე აღსდგას“ მაგიერ, ერთმა თავხედმა და ბოროტმა კაცმა მიჯვრით თავი გაუპო!.. სწორედ კარგი მილოცვაა!.. რამდენად გამხეცებული და ღვთის სახეობაზე უკან ჩამორჩენილი უნდა იყოს ადამიანი, რომ აღდგომა დღეს, ეკკლესიის კარებში ამისთანა მხეცობა ჩაიდინოს!... ამგვარები-კი აქ ძლიერ ხშირია...

ყველაზედ უფრო ავი ხალხი ასხია ლაშხეთის საზოგადოებას, სადაც ეს ავ-კაცობა მოხდა და რომელსაც მდინარე ცხენის წყალის ზედა ნაწილი უჭირავს. აქ არ უდგება სახელმწიფო გზა, მასა სცდება ყოველი სვანეთში მოგზაური, სამსახურის კაცია იგი თუ სხვა, და ამიტომ თითქმის თავისებური, ერთგვარი, ლაღი აძევს: ხალხი გალაღებულია და კანონის მას მაინც-და-მაინც ბევრად არ ეშინია..

ზემოთ გზების შესახებაცა ვსთქვით ორიოდე სიტყვა. გზები ხშირი წვიმებისა და შვავებისა გამო აქეთკენ ძლიერ დაზიანდნენ, ასე რომ მათზედ მოგზაურობისაგან ღმერთმა დაგიფარონსთ ყველანი! რიგიანი გზა აქამდისინაც არა გვქონდა და ეხლა ხომ მათზე გავლა გაგიძნელდებათ. რას მივაწეროთ, რომ მათი გაკეთებისათვის არავინ არა ზრუნავს ჯერ-ჯერობით, არ ვიცით!.. ყველაზე უფრო მომეტებული შრომა ეტყობა გზების შესახებ ლენტეხის საზოგადოების მამასახლისს ი. ლიპარტელიანს, რომელმაც ეგრეთ წოდებული გზა „ლათქვლიარი“ ისეთს ალაგას გაიყვანა (ძველი უხერხული მიატოვა), რომ იმ ალაგას სიარული უშიშარ ჰყო. ხსენებული მამასახლისის სიმკვირცხლე და დაუზარელი შრომა მადლობის ღირსია ჩვენ მიერ და მთავრობის მხრით ყურადღებისა. ვუსურვოთ შემდეგისათვის მომეტებული მუყაითობის გამოჩენა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, აქეთკენ აპრილში ძლიერ ცუდი ამინდები დაგვიდგა. 11—17 აპრილამდე სთოვდა. დანარჩენს დღეებში წვიმდა კოკის-პირულად თითქმის ორი კვირის განმავლობაში. ამის გამო ატეხილმა სიცივეებმა აყვავებული ხეხილი დასწვა, ჭვავი გაუყვითლა და უმისოდაც მოჭკნებული საქონელი სიკვდილს მიაყენა, რადგან საკვების სიძვირეა და გარეთ-კი ვერაფერს ვერ შოულობს. გამოიდარა 23 აპრილს.

მღ. მღვდ. ი. მარგიანი.

Дозволено цензурою Тифлисъ, 7 іюня 1902 г.

მესამე—რომ ბანკის გამგეობა არჩეულ იქნეს არა მარტო რწმუნებულებში, არამედ თავად-აზნაურებშიაც.

გამგეობის წევრი ბ. ჯაიანი კითხულობს რწმუნებულის ი. ი. პურადოვის მოხსენებას; მოხსენების ავტორი სთხოვს საზოგადოებას, დაარსდეს საპენსიო კასა (пенсіонная касса), როგორც რუსეთის ბანკებშია ბანკის მოსამსახურეებისათვის. თავის მხრით ბ. ჯაიანი დასძენს, რომ გამგეობა ამ მოხსენების მომხრეაო, მაგრამ ამ თანხის შესადგენად $^0/_0{}^0/_0$-ს გადადება წესდების § 101 წინააღმდეგი იქნებაო.

ბ. თაყაიშვილი: ეს კითხვა ძლიერ საყურადღებოა, მაგრამ კარგი მოფიქრება და ნამდვილი წყაროს აღმოჩენა უნდა, თორემ სამინისტრო არ შეიწყნარებს ამ თხოვნას.ამიტომ ურჩევ საზოგადოებას ეს კითხვა გამგეობას გადაეცეს შესამუშავებლად და მომავალ საზოგადო კრებაზე მოხსენება წარმოგვიდგინოს.

ამავე აზრისაა ნ. დ. ერისთავიც. კრებამ მიიღო ბ. თაყაიშვილის წინადადება.

ა. თ. ნანეიშვილის წინადადებით აღიძრა კითხვა იმის შესახებ, რომ გამგეობას ჩამოერთვას დამფასებელ კომისიის არჩევის უფლება და გადაეცეს საზოგადო კრებას. „დამფასებელ კომისიას დიდი მნიშვნელობა აქვს ბანკის საქმეების კარგად თუ ავად წაყვანაში. თუ დამფასებელმა სინიდისს უღალატა, შეუძლია ერთი ორად დააფასოს მამული და მით ბანკს აზარალოს. ასეთი პირის არჩევა არ უნდა ხდებოდეს ჩუმად კაბინეტში; საჭიროა, თვითონ საზოგადოება იცნობდეს მას და, თუ ღირსია, ირჩევდეს.

კ. ბ. ღორქიფანიძე წინააღმდეგია ამ წინადადებისა იმ მოსაზრებით, რომ პასუხის მგებელი გამგეობაა მისგან ამორჩეული დამფასებელის სიავ-კარგეში და, თუ არ მოეწონა, შეუძლია დაითხოვოს; საზოგადოებისაგან ამორჩეულ კაცს კი, ძლიერ ცუდიც რომ აღმოჩნდეს, გამგეობა ვერ დაითხოვს და ამით ბანკის საქმეები დაზარალდება; მასთან შეიქნება კიდევ პარტიობა, ქრთამები და სხ.

ნ. თაყაიშვილი: თავადმა კირილემ, რასაკვირველია, მეტი იცის ყველაფერი, ვიდრე მე, მხოლოდ სოფლის გარემოება კი მან ჩემსავით არ იცის. მან ბრძანა, პარტიობა, ქრთამი და ნათესაობა ხელს შეგვიშლის ხეირიანი დამფასებლების ამორჩევაშიო. ჩემი ფიქრით, ბევრჯელ უფრო ადვილია 8 კაცის მოყიდვა (გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის), ვიდრე 200 კაცის. გამგეობა ირჩევს ისეთ დამფასებელთ, რომელნიც იკისრებენ მათს აგენტობას კენჭების შოვნაში, არბენინებენ სოფელ-სოფელ და სხვა-და-სხვა დაპირებებით შოულობენ კენჭებს. ჩვენში ერთი მაგალითი მოხდა: ორმა ბიძაშვილმა თანასწორად გაიყვეს ერთი ადგილი; შემდეგ ეს მამულები ცალ-ცალკე დააგირავეს ბანკში. მიუხედავათ იმისა, რომ ნაყოფიერობით პირველის მამული კიდეც სჯობდა მეორისას, პირველმა 2,000 მანეთი მიიღო სესხად და მეორემ კი 3,000 მან. ამას შემდეგ, მე მგონია, ძლიერ საჭიროა, რომ დამფასებლები თვითონ საზოგადოებამ ამოირჩიოს. (ტაშის ცემით დააჯილდოვეს) წინადადება მიღებულ იქმნა.

დაბოლოს ბ. ნანეიშვილისავე წინადედებით §§ 77, 87 შეცვლილ იქმნა ამგვარად: პირველში გამგეობასა და ზედამხედველ კომიტეტს ჩამოერთვა დამფასებლების ამორჩევის უფლება; მეორეში კი—რწმუნებულთა კრებას მიეცა ეს უფლება.

კრება გადაიდო შემდეგი დღის 12 საათისთვის.

დონ-ვალიანი

ბავშვთა სამზრუნველო საზოგადოების წევრთა კრება

6 ივნისს, საღამოს $8^1/_2$ საათზე, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში შესდგა საზოგადო კრება ტფილისის ბავშვთა სამზრუნველოს საზოგადოების წევრებისა. კრებას დაესწრო მხოლოდ 45 წევრი. კრების თავმჯდომარედ ამოირჩიეს დ. ი. მღებროვი. კრება შეუდგა გამგეობის წარსულ წლის მოქმედების ანგარიშის განხილვას. როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს, გამგეობის მოქმედება უმთავრესად მიქცეული იყო ბავშვთა ფიზიკურ აღზრდაზე, მათთვის დღესასწაულების გამართვაზე და სეირნობის მოწყობაზე. საბავშვო სახლში მოთავსებულ 30 ბავშვის შენახვა, წერა-კითხვისა და ხელ-საქმის სწავლება დაჯდომიათ სულ საანგარიშო წელს 4292 მ. 57 კ. ბავშვთა უფასო სასადილოსა და ბავშვთა თავშესაფარზე, სადაც 50 უმაწვილს ეძლეოდა საჭმელი, ტანისამოსი და აგრეთვე ასწავლიდნენ კიდეც, დახარჯულა 1358 მან. 16 კ. დღის მეორე თავ-შესაფარში 20 ბავშვის შენახვა—355 მან. ავლაბრის სკოლის შესანახად 175 მ. საანგარიშო წელს საზოგადოების წევრებად მიუღიათ სულ 123 ახალი წევრი; სულ საზოგადოებას ჰყავს ამ ჟამად 512 წევრი. რომელთაგან საწევრო ფული გადაუხდია მხოლოდ 484 წევრს—სულ 1482 მანეთამდე. შემოწირულება შემოსვლიათ 1626 მ. კონცერტისა, ლექციებისა, საბავშვო დღესასწაულების და წარმოდგენებისაგან შემოსულა 3509 მ. 28 კ. მთელი შემოსავალი საზოგადოებას ჰქონია სულ 8344 მ. 47 კ., ხოლო გასავალი 8911 მან. 87 კ. მცირეოდენის შენიშვნების შემდეგ კრებამ ანგარიში დაამტკიცა.

კარგა ხანს კამათი გამოიწვია ამა მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვამ. გამგეობის ვარაუდით შემოსავალი მოსალოდნელია მიიღონ სულ 13,360 მან. ზოგი თხოულობდა ამ ციფრის შემცირებას; კრებამ დაამტკიცა შეუცვლელად შემოსავლის აღრიცხვა. ხარჯების დასაფარავად გამგეობა ითხოვდა სულ 11,767 მ. და 80 კ. კრებამ დაამტკიცა გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა შეუცვლელად.

გამგეობის მოხსენება ძირითად და სათადარიგო თანხებში შესატან ფულების 5%-მდე შემცირების შესახებ კრებამ გადასდო სექტემბრისათვის, რადგანაც ამ საკითხის განსახილველად საჭირო იყო კრებაზე საზოგადოების წევრთა ერთი ნახევრის დასწრება და ამდენი კაცი კი ამ კრებას არ დასწრებია.

დასასრულ კრება შეუდგა საზოგადოების მოხელე პირთა არჩევას. ხმის უმეტესობით გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: ა. ბ. ოსტროვსკისა, ბ-ნი ანტუშევიჩი და გეიდემანი; მათ კანდიდატებად: ნაზაროვისა, ვეიდენბაუმი და აფანასიევი; ხოლო სარევიზიო კომისიის წევრებად ამოირჩიეს ექ. ნ. ა. ხუდადოვი, ა. ბ. ევანგულოვი და ვ. ა. გლინკა. მათ კანდიდატებად მაკარსკი და კუზმინი.

კრება ღამის 12 საათზე დასრულდა.

ორიოდე სიტყვა ქვემო მაჩხაანის მომხმარებელ საზოგადოებაზე

(წერილი სიღნაღიდან)

წარსულ წელს მოხდა უკანასკნელი კრება ამ საზოგადოებისა და ამ კრებაზე ამოირჩიეს კომისია, რომელსაც საბოლოოდ უნდა დაემთავრებინა ამხანაგობის საქმე, დაებარებინა მოვალეები, გასწორებოდა მათ, საქონელი გაეყიდნა ან ისევე მოვალეებისათვის დაებრუნებინა და სხ. და უნდა ამაზე მოეხსენებინა საზოგადო კრებისათვის არა უგვიანეს ორის თვისა დღიდან კრებისა. მას აქეთ გავიდა რამდენიმე თვე, ახლა წელიწადმაც მოაწია და საქმისა კი არა ვიცით-რა. მომეტებულ ნაწილს წევრებისას, რომელნიც უფრო ახლო იდგნენ ამხანაგობის აღებ-მიცემობასთან, თუ ერთი თუმანი საწევრო შეიტანეს, ათ-და-ოც თუმნობით ნისია აქვთ გატანილი და ამიტომ ამათთვის სარფა არ არის კრების მოხდენა, მაგრამ არიან ისეთნიც, რომელთაც რამდენიმე თუმანი შეუტანიათ და მანათისა არა უსარგებლიათ-რა. აი ესენი მაინც უნდა სცდილობდნენ კრების მოხდენას, მაგრამ არ ვიცი, ვიღას ელიან რომ ხმას არ იღებენ. სხვაც არა იყოს-რა, სირცხვილია ამ გარემოებაში საქმის დატოვება. ყველა მკვდარს დამარხვა უნდა. ამისთანა აწეწილ-დაწეწილ საქმეებსაც დამთავრება და ანგარიშის გაწევა სჭირია. აი ახლა დროც—ინტელიგენტნი, წევრნი ახლა არიან მოცლით და ეხლა შეიძლებოდა საქმის სამუდამოთ დამთავრება.

შორეული.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 ივნისი

პეტერბურგი. ახალ რკინის გზების კომისიამ სასურველად სცნო მოსტკა-ნავლის შტოს გაყვანა, რომელიც კიევს 115 ვერსით დაუახლოვებს მოსკოვს.

ვენა. როდესაც კლოსსე შეეკითხა, მინისტრ-პრეზიდენტმა უპასუხა, რომ გერმანიის კანცლერის სიტყვაში ის არა ხედავს არავითარ ქადაგებას, რომელიც ავსტრიის საქმეებს შეეხებოდეს; პირიქით, იმან სასტიკად უნდა გაჰკიცხოს ის აგიტაცია, რომლითაც გამოიდაშქრეს პალატაში ზოგიერთ ჯგუფთა წარმომადგენელთ. პალატამ უარჰყო კლოსსეს შეკითხვის გამო კამათის აშლა.

ათინა. რამდენიმე მაკედონელი დაატუსაღეს. ეს მაკედონელნი, როგორც მაკედონიის კომიტეტის აგენტები, ცდილობდნენ ბრბო შეედგინათ მაკედონიის თავდასაცემად.

ლონდონი. შინაგან საქმეთა მინისტრმა კროიდონში წარმოთქმულს სიტყვაში სთქვა: „იმ საგვირგვინის განწყობილების გამო, რომელსაც ბურები იჩენენ, მთავრობასა სურს უმეტესი ნაწილი ჯარებისა წამოიყვანოს სამხრეთ-აფრიკიდან“.

პრეტორია. კალვინიაში 600 კაცი დანებდა, უმეტეს ნაწილად კაპელი; იარაღი დაჰყარა 18,400 კაცმა.

ლონდონი. იმ დიდი სამუშაოს გამო, რომელიც მეფეს მომავალს კვირაში მოელის, ექიმებმა ურჩიეს სადღესასწაულო მზადებაში მონაწილეობა არ მიიღოს ამ ჟამად.

ტომსკი. საპატიო მოქალაქემ ზიმინმა შესწირა ტომსკის უნივერსიტეტს 100,000 მან. ბაკტერიოლოგიურ ინსტიტუტის აშენებისა და შენახვისათვის; ინსტიტუტს ერქმევა ჩურინების სახელი.

კრონშტადტი. გუშინ მოვიდა ფილადელფიაში აგებული გემი „რეტვიზან“.

კიევი. საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში მიღება გამოცხადდა. თხოვნებს მიიღებენ 15 ივლისამდე. საბჭომ შესაძლებლად სცნო ამ წელს პირველ კურსზე მიიღოს ხუთასამდე უმაწვილი.

ლონდონი. ხაზინის კანცლერის სიტყვის გამო, რომ მთავრობის პოლიტიკაში არ შედის ახალშენებთან გაჭრობაში წააქეზოს ხალხი უცხოელებთან სადამოყნო ბრძოლისათვის, „სტანდარდი“ იუწყება, რომ საპარლამენტო წრეებში ეს განცხადება ისე ესმით,ვითომ ამითი უარყოფილია ბრიტანიის სადამოყნო კავშირიო.

ბერლინი. „ჩრდილო გერმანიის გაზეთი“ იუწყება, რომ სულთანის ფირმანი გამოიცა, რომელშიაც აღიარებულია, რომ სახელმწიფო ცნობილობს გერმანიის ყველა დაწესებულებას ოსმალეთში, სასულიეროს და საეროს.

პეტერბურგი. ექვსს ივნისს პეტერგოფის დიდს სასახლეში ხელმწიფე იმპერატორს წარუდგნენ ოფიცრები და მოხელენი, რომელთაც კურსი დაამთავრეს ნიკოლოზის, საინჟინერო, სამხედრო—იურიდიულს აკადემიაში, აღმოსავლეთის ენათა კურსებზედ და საინტენდანტოსაში.

გუშინ სადგურ სტრელნაზე მოვიდა მემკვიდრე პრინცი ანგალტ-დესაუსისა თავის მეუღლე მარიამით. დიდ სტუმართ მიეგებნენ დიდნი მთავარნი მიხეილ ნიკოლოზის ძე და გიორგი მიხეილის ძე მეუღლით და თავადი გიორგი მაქსიმილიანეს ძე მეუღლით.—სამ ივნისს ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა აგარაკ ალექსანდრიაში ის ნაწარმოები, რომელიც დამზადებულია კუზმინსკის სახაზინო ქარხანაში.

7 ივნისი

ვარშავა. დღეს ბულგარიის მთავარი საზღვარ-გარედ წავიდა.

ერევანი. 1854 წ. ჩინგილის მწვერვალებზე ბრძოლაში დახოცილთა სახსოვრად იმათ სასაფლაოზე ჯვარი დასდგეს.

პოლტავა. დღეს კიევის ოლქის სასამართლოს დროებითმა განყოფილებამ დაიწყო კაპიტანი კრივეცკისა და მისი ამხანაგების საქმის გარჩევა. ამათ აბრალებენ სამხედრო სამსახურისაგან ზოგიერთების განთავისუფლებას.

მოსკოვი. მოსკოვის გუბერნიის საერო საბჭოს საგანგებო კრებები დროებით დაიხურა, რადგან ხმოსნები არ ესწრებოდნენ. გაიხსნა ქალაქის პირველი სანიმუშო სამშობიარო თავშესაფარი; შენობა 80,000 მან. დაჯდა.

პენზა. საპედაგოგიო კურსები გაიხსნა.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.) 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ
საკერავს:
კაბებს, წამოსასხამებს, საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს, (მეტკებს).
ბარონის ქუჩა, № 12 (10—4)

ქ. ბათუმში
იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“
სპ. ქელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—24)

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცელი“-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ

მაღაზია
ნ. ა. საზაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა
ქ. ქუთაისში
გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ.
გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ **ქუთაისის და ქუთაისის ახლო-მახლო სოფლების საზოგადოებას**, რომ ჩვენს მაღაზიაში გვაქვს მუდამ მრავალ-გვარი **ფარფორის და ფაიანსის საქონელი** სხვა-და-სხვა ხრუსტალის და შუშეულების ნაწარმოები, ვარშავისა და საზღვარ-გარეთელი ლამპები. საზღვარ-გარეთელი რკინეული საელემენტო ჭურჭლეულობა უმაღლესი ხარისხისა. სპილენძის ჭურჭლეულობა, სამოვრები და ყოველ-გვარი საოჯახო კუთვნილებანი. მელხიორის და ბრიჯაოს ნაწარმოებნი. ვენის გაღუნული ბამბუკის სახლის ავეჯეულება. ინგლისური და ვარშავის კრაოტები და მატრაცები. სხვა-და-სხვა კედლის და სატუალეტო სარკეები. კლიონკები და ლინოლეუმები პოლისთვის. რუსული და საღვარ-გართელი გიტარები, სკრიპკები და სტრუნები ყოველ-გვარი. საეკკლესიო კუთვნილებანი.
ყველაფერი ისყიდება **ზომიერ ფასად და უვაჭროდ.** (45—36)

Дозволено цензурою Тифлисъ, 7 Іюня 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.